

მაიდენტიფიცირებელი და პრედიკატული სიტყვები

არსებითი სახელები **მაიდენტიფიცირებელი** სახელების კატეგორიას განეკუთვნება. ისინი ახდენენ გარემომცველი სამყაროს საგნების იდენტიფიკაციას. მათ სემანტიკაში აისახება რეალურად არსებული ობიექტების სხვადასხვა კლასები. შესაბამისად, მათი ლექსიკური მნიშვნელობა, უმეტეს შემთხვევაში ეფუძნება ცნებებს „**სუბსტანცია**“, „**საგნობრიობა**“. როგორც აბსტრაქტულიც არ უნდა იყოს ცნება, რომელსაც არსებითი სახელი აღნიშნავს, მისი მნიშვნელობა მაინც **ავტოსემანტიკური და თვითკმარია**.

პრედიკატული სიტყვები, ზმნები და ზედსართავი სახელები კი აღნიშნავენ მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან ლოგიკურ კატეგორიას, კერძოდ „**ნიშანს**“. მსგავსად არსებითი სახელისა, რომელიც თავის კატეგორიალურ მნიშვნელობაში აერთიანებს სუბსტანციისა და საგნობრიობის კატეგორიებს, პრედიკატული სიტყვები აერთიანებენ ორი რიგის კატეგორიას, კერძოდ: **საგნის ნიშანს, თვისებას** – ზედსართავ სახელებში და **მოქმედების, მდგომარეობის ნიშანს** ზმნებში. ზმნისართი აღნიშნავს მეორე ხარისხის ნიშანს – სივრცის, დროის და მოქმედების მიმდინარეობის სხვა გარემოებების ცნებებს. მაშასადამე, ენაში გამოიყოფა სამი სახის ნიშანი: საგნის ნიშანი (ზედსართავი სახელი), მოქმედების ნიშანი (ზმნა) და ნიშნის ნიშანი (ზმნისართი).

ზედსართავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის თავისებურებები

ზედსართავი სახელი სემანტიკური თვალსაზრისით სიტყვათა მნიშვნელოვან კატეგორიას განეკუთვნება, რადგან ასახავს გარემომცველი სამყაროს საგნების ნიშან-თვისებებს. ამასთან ერთად, ნიშანი, რომელსაც ზედსართავი სახელი აღნიშნავს, გამოიყოფა საგანთა სრულიად განსხვავებული კლასებიდან. შესაბამისად, ზედსართავ სახელში წარმოდგენილია ამა თუ იმ ნიშნის გამოვლენის მთელი მრავალფეროვნება სხვადასხვა კლასის საგნებში. ზედსართავი სახელის სემანტიკის ამ თავისებურებამ ზოგიერთი ლინგვისტი მიიყვანა იმ მოსაზრებამდე, რომ ზედსართავი სახელების მნიშვნელობაში არ არის დენოტაციური კომპონენტი, ანუ მას არა აქვს არც დენოტაცია და მითუმეტეს არც რეფერენცია. მისი გამოყენების სფერო არის მთელი წრე დენოტატებისა, რომლებსაც ეს ნიშან-თვისება აქვს. შესაბამისად, ზედსართავი სახელის მნიშვნელობა, ამ ენათმეცნიერთა აზრით, იქმნება სტანდარტიზებული წარმოდგენებით საგნების ან მოვლენების თვისებებზე და ზედსართავი სახელი **ნიშანი-ცნების** კატეგორიას განეკუთვნება (ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ჩვენი კვლევის შედეგები აღნიშნულ საკითხზე).

ზედსართავი სახელის მნიშვნელობის ერთ-ერთ თავისებურებად, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი სემანტიკის სპეციფიკას, ზოგიერთი ენათმეცნიერი მიიჩნევს მისი მნიშვნელობის **არაავტონომიურ ბუნებას**.

ზედსართავი სახელის სემანტიკის განხილვა, როგორც სინსემანტიკური სტრუქტურისა განპირობებულია იმით, რომ ნიშანი, თვისება ობიექტურ რეალობაში დამოუკიდებლად არ არსებობს. ნიშნის ცნება, როგორც საგანთა ლოგიკით, ასევე აზროვნების ლოგიკიდან გამომდინარე, გულისხმობს სუბსტანციას, საგანს, რომელსაც ეს ნიშანი მიეწერება. აქედან გამომდინარე, ზედსართავი სახელი ენაში ვერ იფუნქციონირებს არსებითი სახელის გარეშე. ზედსართავი სახელის ყოველ მნიშვნელობასთან მუდმივად იგულისხმება არსებითი სახელთა ჯგუფი, რომელიც ობიექტური რეალობის ერთი და იმავე კატეგორიის კომპონენტებს აღნიშნავს.

მაგ. ზედსართავი სახელის great მნიშვნელობა

- 1) “ზომით დიდი“, მუდმივად გულისხმობს კონკრეტული საგნების აღმნიშვნელი სიტყვების ჯგუფს (insect, stone-building, glass-doors, etc);
- 2) „მრავალრიცხოვანი“, გულისხმობს კრებით არსებით სახელებს (company, crowd, etc);
- 3) „ხანგრძლივი“, გულისხმობს დროის მონაკვეთის აღმნიშვნელ არსებით სახელებს (while, interval, etc);
- 4) „გამოჩენილი, ნიჭიერი“, გულისხმობს სისტემურ კონტექსტს, რომელიც აღნიშნავს სხვადასხვა პროფესიას, ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს (poet, musician, actress, etc) და ა.შ.

არსებით სახელთა ამ ჯგუფის გარეშე შეუძლებელია ზედსართავი სახელის მნიშვნელობის რეალიზაცია. ზედსართავი სახელის მნიშვნელობების ფორმირებისა და რეალიზაციისათვის მისი არსებით სახელთან აუცილებელი კავშირის გამო, ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ლექსიკურ სინტაგმებს **ნახევრადავტომატიზებულ სანტაგმებსაც** უწოდებენ. უდავოა არსებითი სახელის მნიშვნელობა ზედსართავი სახელის მნიშვნელობის რეალიზაციისათვის, მაგრამ მეორეს მხრივ, თუ მივიჩნევთ, რომ არსებითი სახელი წარმოადგენს ზედსართავი სახელის მნიშვნელობის რეალიზაციის ერთადერთ საშუალებას და თვით ზედსართავი სახელის „წვლილი“ უმნიშვნელოა, ჩვენ პრაქტიკულად ვამტკიცებთ, რომ ზედსართავი სახელი არის ფუნქცია და არა დამოუკიდებელი სიტყვა.

არსებითი სახელის მეშვეობით ხდება ზედსართავი სახელის მნიშვნელობების აქტუალიზაცია და არა მოტივაცია. არსებითი სახელი ზედსართავ სახელში გამოავლენს იმ მნიშვნელობებს, რომელიც პოტენციურად არსებობს მის აზრობრივ სტრუქტურაში.

როგორც ცნობილია, ნიშან-თვისება ობიექტურ რეალობაში დამოუკიდებლად არ არსებობს. იგი საგნის შიგნითაა, საგანშია და მის გარეშე წარმოუდგენელია. სამყაროს აღქმის პროცესში ადამიანი სამყაროს ვერ აღიქვამს მთლიანობაში, არამედ აღიქვამს დანაწევრებულად, ნაწილ-ნაწილ და აღქმის პროცესში მოიცავს მის სხვადასხვა მხარეებს. ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის ეს თავისებურება ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ენის სისტემაში გარემომცველი სამყაროს ობიექტები დანაწევრებულად იქნას წარმოდგენილი. ამის შედეგად, აღმოცენდება მეტყველების ნაწილები, სადაც საგანი (არსებითი სახელი) განცალკევებულია თავისი ნიშნისაგან. ეს უკანასკნელი ენაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც **კვალიტატიური, თვისებრივი** (ზედსართავი სახელი), **პროცესუალური** (ზმნა), **კვანტიტატიური, რაოდენობრივი** (რიცხვითი სახელი) და ა.შ., სადაც ცალკე განიხილება ნიშნები, რომლებიც სხვა ნიშნებს ეკუთვნის, რის შედეგადაც იქმნება ზმნისართების კლასი (**ნიშნის ნიშანი**), სადაც მიმართება საგნებს შორის ენობრივ კატეგორიებში წარმოდგენილია სხვადასხვა დამხმარე სიტყვებით (წინდებული, კავშირი და ა.შ.).

მაშასადამე, ნიშანი, გარდასახული ენობრივ კატეგორიაში, წარმოდგება ცალკე კატეგორიად, ზედსართავი სახელის კატეგორიად და სხვა ენობრივ სტატუსს იძენს. ენის სისტემაში ნიშანი შედარებით **ავტონომიურობას** იძენს, რაც განაპირობებს ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის რთულ ურთიერთმიმართებას მათ ლექსიკურ სინტაგმებში. ამ მიმართებების

შესასწავლად საჭიროა იმ სიღრმისეული კავშირების ანალიზი, რაც თავს იჩენს ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ლექსიკურ სინტაგმებში. ეს სიღრმისეული კავშირი ყველაზე კარგად ვლინდება ზედსართავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის იმ სემანტიკური კომპონენტების შესწავლის საფუძველზე, რომლებსაც **გამჭოლ სემასა** და **სუბსემას** ვუწოდებთ.

გამჭოლ სემას (გს) ვუწოდებთ ზედსართავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის იმ სემანტიკურ კომპონენტს, რომელიც მრავალმნიშვნელობიანი ზედსართავი სახელის მთელი რიგი ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტის (ლსვ) წარმოშობის საფუძველია.

გამჭოლი სემებია ჩვენ მიერ წინა თავებში განხილული სემანტიკური კომპონენტები:

- * **being more than average (big, large, great)**
- * **being free from deviation (straight)**
- * **being below the average level (low)**
- * **being limited (narrow)**
- * **being less than average (little, small)**
- * **consisting of closely occupied, filled or set individual components (thick)**

* **გს წარმომშობი** სემანტიკური კომპონენტია, იგი მთელი რიგი ლსვ-ის აღმოცენების საფუძველია.

* **გს** საერთო სემანტიკური კომპონენტია, სემანტიკური „დაფია“, რომელიც ზედსართავი სახელის რამდენიმე ლსვ-ს აერთიანებს.

* **გს** მაინტეგრირებელი სემაა, სწორედ მისი მეშვეობით ფუნქციონირებს პოლისემანტური ზედსართავი სახელი, როგორც ერთიანი აზრობრივი სტრუქტურა.

* **გს** პარადიგმატულ ანუ ვერტიკალურ ჭრილში წარმოიშობა. მისი არსებობა ვლინდება პოლისემანტური ზედსართავი სახელის რამდენიმე მნიშვნელობის შედარების საფუძველზე.

* **გს** თავისი სტრუქტურულ-სემანტიკური სტატუსით უფრო აბსტრაქტულია, ვიდრე სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის შემადგენელი დიფერენციალური და პოტენციური სემები, რადგან იგი ზედსართავი სახელის რამდენიმე ლსვ-ს მართავს.

* **გს** იმპლიციტურად შეიცავს წარმოდგენას იმ საგანთა კლასებზე, რომელიც მოცემულმა ზედსართავმა სახელმა შეიძლება დაახასიათოს. შესაბამისად იგი ახდენს მოტივირებას ან ბლოკირებას არსებითი სახელის შერჩევისა, რომელსაც მოცემული ზედსართავი სახელი შეიძლება შეუერთდეს.


* **გს** აღმოცენდება ზედსართავი სახელის როგორც ძირითადი, ისე გადატანითი მნიშვნელობების პოტენციური სემებისგან. აქედან გამომდინარე, გს-ში დევს ინფორმაცია იმ ასოციაციურ ნიშნებზე, რომელიც რელევანტურია მოცემული ენობრივი კოლექტივისათვის.

გს განსხვავდება საერთო სემანტიკური კომპონენტისაგან, არქისემისაგან, ჰიპერსემისაგან იმით, რომ იგი **წარმომშობი სემანტიკური კომპონენტია**. იგი არა მარტო საერთო სემანტიკური კომპონენტია რამდენიმე ლსვ-სათვის, არამედ იგი არის ზედსართავი სახელის პოლისემანტური მნიშვნელობების წარმოშობის საფუძველი და მართავს მათ.

სუბსემა სინტაგმატურ დერძზე წარმოიშობა ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის სემანტიკური სტრუქტურების ურთიერთმიმართებისას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზედსართავი სახელის მნიშვნელობების რეალიზაცია ხდება მინიმალურ ნახევრადავტომატიზებულ ლექსიკურ სინტაგმებში, რომლებიც

შედგება ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელისაგან. ამის შედეგად, ზედსართავი სახელის ყოველ მნიშვნელობასთან, როგორც აღინიშნა, აუცილებლად იგულისხმება მისი სისტემური კონტექსტი, რომელიც აზუსტებს ზედსართავი სახელის გამოყენების სფეროს. მოცემული სისტემური კონტექსტი წარმოდგენილია არსებითი სახელების განსაზღვრული ჯგუფით, რომლებიც, როგორც წესი, განეკუთვნებიან ობიექტური რეალობის ერთსა და იმავე კატეგორიას.

გს-ის საფუძველზე არსებითი სახელების ჯგუფიდან, რომლებიც ზედსართავი სახელის ღს-ის სისტემურ კონტექსტს წარმოადგენს, გამოიყოფა საერთო სემა, რომელიც ხდება ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურის კომპონენტი და აკონკრეტებს რა გს-ის ზოგად მნიშვნელობას, ახდენს პოლისემანტური ზედსართავი სახელის ცალკეული მნიშვნელობის დიფერენციაციასა და რეალიზაციას. აღნიშნულ კონკრეტულ მნიშვნელობას, რომელიც ზედ ედება გს-ის ზოგად მნიშვნელობას, ჩვენ განვიხილავთ არა როგორც კონტექსტუალურ ფლუქტუაციას, არამედ როგორც ზედსართავი სახელის მნიშვნელობის შემადგენელ ელემენტს. მაშასადამე, **სუბსემას ვუწოდებთ ზედსართავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის მაღიფერენცირებელ სემანტიკურ კომპონენტს, რომელიც სინტაგმატურ დერძზე წარმოიშობა ზედსართავი სახელის არსებით სახელთან ურთიერთმიმართების საფუძველზე და რომელიც აკონკრეტებს გს ზოგად შინაარსს ყოველ ცალკეულ ღს-ში.**



სქემა 1

პირველ სქემაზე წარმოდგენილია ზედსართავი სახელის great სამი მნიშვნელობა;

1. „ზომით დიდი“

2. „მრავალრიცხოვანი“

3. „ხანგრძლივი“.

პირველი მნიშვნელობის სისტემური კონტექსტია კონკრეტული საგნების აღმნიშვნელი არსებითი სახელები. არსებით სახელთა ამ ჯგუფიდან გს **more than average** გამოყოფს საერთო სემას **size**, რომელიც შემოდის ზედსართავი სახელის მოცემული მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში, როგორც მისი კომპონენტი, აკონკრეტებს გს-ის **more than average** ზოგად მნიშვნელობას **being more than average in size**, რის საფუძველზეც ხდება მნიშვნელობის „**ზომით დიდი**“ რეალიზაცია.

მეორე მნიშვნელობის სისტემური კონტექსტია კრებითი არსებითი სახელები. არსებით სახელთა ამ ჯგუფიდან გს **more than average** ირჩევს საერთო სემას **number**, რომელიც შემოდის ზედსართავი სახელის მოცემული მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში, როგორც მისი კომპონენტი, აკონკრეტებს გს-ის **more than average** ზოგად მნიშვნელობას **being more than average in number**, რის საფუძველზეც ხდება მნიშვნელობის „**მრავალრიცხოვანი**“ რეალიზაცია.

მესამე მნიშვნელობის სისტემური კონტექსტია დროის მონაკვეთის აღმნიშვნელი არსებითი სახელები. არსებით სახელთა ამ ჯგუფიდან გს **more than average** ირჩევს საერთო სემას **duration**, რომელიც შემოდის ზედსართავი სახელის მოცემული მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში, როგორც მისი კომპონენტი, აკონკრეტებს გს-ის **more than average** ზოგად მნიშვნელობას **being more than average in duration**, რის საფუძველზეც ხდება მნიშვნელობის „**ხანგრძლივი**“ რეალიზაცია.

ქვემოთ მოცემულია სუბსემის სხვა მაგალითები წინა თავებიდან:

narrow

1) of no great extent, confined, small

narrow space, narrow place

(being limited in spacial extent)

2) restricted, not comprehensive

narrow knowledge, narrow human wit, her life was narrow and uninteresting

(being limited in scope)

3) not far-reaching, extensive

narrow fame, narrow sampling of public opinion

(being limited in renown)

4) not general

narrow meanings, narrow sense of the name

(being limited in extent of meaning)

5) not liberal, prejudiced, bigoted

she is narrow, selfish; narrow-minded

(being limited in views, sympathies)

thick

1) dense, crammed

thick forest, thick hair, thick moustach

(consisting of closely occupied, filled or set hair, trees)

2) numerous, occurring in large numbers in a limited area

a thick crowd, thick throngs of young people

(consisting of closely occupied, filled or set individuals)

3) viscous in consistency

thick coffee, thick soup, thick greese
(**consisting of closely occupied, filled or set components of solid matter**)
7) having the component particles densely aggregated so as to hinder vision
thick fog, thick smoke, thick mist, the air was thick
(**consisting of closely occupied, filled or set component particles of mist, fog, smoke, etc**)

სუბსემა განმასხვავებელი სემაა. იგი მიუთითებს ზედსართავი სახელის მნიშვნელობის იმ მაკონკრეტებელ ნიშანზე, რომლითაც ერთი ლსვ განსხვავდება მეორისგან.

* სუბსემა განმასხვავებელი სემაა, რომლის საფუძველზეც წარმოიშობა ზედსართავი სახელის კონკრეტული ლსვ. სუბსემას, ისევე როგორც გს-ს **წარმოშობ** სემად განვიხილავთ. **თუ გს წარმოშობს პოლისემანტიური ზედსართავი სახელის რამდენიმე ლსვ-ს, სუბსემა ერთი კონკრეტული ლსვ-ს წარმოშობის საფუძველია.**

* სუბსემა გამოიყოფა საგანთა მთელი კლასიდან, რომელიც წარმოდგენილია არსებით სახელთა განსაზღვრული ჯგუფით. აქედან გამომდინარე იგი თავის თავში ატარებს წარმოდგენას საგანთა მოცემულ კლასზე და შესაბამისად დენოტაციის განსაზღვრულ სფეროზე. ამდენად, სუბსემას ჩვენ განვიხილავთ, როგორც ზედსართავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის **დენოტაციურ კომპონენტს.**

ამრიგად, სუბსემა წარმოადგენს ზედსართავი სახელის ლექსიკური მნიშვნელობის დენოტაციურ კომპონენტს, მაგრამ განსხვავებით არსებითი სახელებისაგან, ეს დენოტაციური კომპონენტი ასახავს არა საგანთა კლასს, არამედ თავის თავში ატარებს წარმოდგენას საგანთა მოცემულ კლასზე.

* სუბსემა წარმოიქმნება სინტაგმატურ ღერძზე (ზედსართავი სახელის არსებით სახელთან შეერთებისას).

* სუბსემის არსებობის შედეგად ზედსართავი სახელის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში ყოველი ლსვ-სათვის წარმოიქმნება მოცემული სუბსემით გაერთიანებული სისტემური კონტექსტი.

ზემოთ წარმოდგენილ სქემაზე მოცემულია ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის ურთიერთმიმართების სიღრმისეული მექანიზმი მათ ნახევრადავტომატიზებულ სინტაგმებში.

გს მოქმედებს ზედსართავი სახელისგან არსებითი სახელისკენ (A N). გს განსაზღვრავს არსებითი სახელების შერჩევას და არსებითი სახელების მნიშვნელობის სემანტიკური სტრუქტურებიდან ირჩევს საერთო ნიშანს, რომელიც მის ზოგად მნიშვნელობას აკონკრეტებს. სუბსემა კი მოქმედებს მეორე მიმართულებით, არსებითი სახელისგან ზედსართავი სახელისაკენ (N A). სუბსემა, ხდება რა ზედსართავი სახელის მნიშვნელობის სემანტიკური კომპონენტი, აკონკრეტებს გს-ის მნიშვნელობას და ახდენს ცალკეული ლსვ-ს რეალიზაციას.

როგორც ვხედავთ, ზედსართავი სახელისა და არსებითი სახელის სინტაგმებში ეს ორი მეტყველების ნაწილი მჭიდრო ურთიერთკავშირით ხასიათდება ზედსართავი სახელის ცალკეული ლსვ-ის რეალიზაციის პროცესში.

არსებითი სახელის როლი ზედსართავი სახელის მნიშვნელობების რეალიზაციის პროცესში მდგომარეობს იმაში, რომ მას ზედსართავი სახელის მნიშვნელობის სემანტიკურ სტრუქტურაში მოაქვს კერძო ინფორმაცია სუბსემის სახით, რომელიც აკონკრეტებს გს-ის ზოგად მნიშვნელობას, შლის მას კონკრეტულ ვარიანტებად, რის შედეგადაც ხდება ზედსართავი სახელის ცალკეული ლსვ-ის დიფერენციაცია და რეალიზაცია. მეორეს მხრივ, ზედსართავი სახელს, როგორც დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილს თავისი მნიშვნელობის

სემანტიკურ სტრუქტურაში აქვს ისეთი სემები, რომლებიც არა მარტო წარმოშობენ მთელ რიგ ლსე-ს, არამედ მართავენ განსაზღვრული და არა ნებისმიერი არსებითი სახელის არჩევანს. ამაში მდგომარეობს ზედსართავი სახელის, როგორც ენის ერთეულის დამოუკიდებელი არსებობა და აქტიური ფუნქცია. სწორედ ეს განსაზღვრავს ენის სისტემაში ზედსართავი სახელის შედარებით ავტონომიურობას და მას ავტოსემანტიკურობას უნარჩუნებს. ზედსართავი სახელი არ წარმოადგენს არსებითი სახელის პასიურ დანამატს. ენის სისტემაში მათი ურთიერთობა განზოგადების სრულიად სხვა დონეზე ყალიბდება..